რედაქცია

...ის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-...ში ქვემოთ.

ხელის-მოწერა

...იღება თბილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუ-... ჭილაძის (გვრამდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ისათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак- „Дроеба“.

„დროების“ ფასი:

| | |
|---|---|
| ...წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან. |
| ...თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და-სხვა მიზეზების გამო, გუშინ, პარასკევს გაზეთი არ გამოსულა.

ბატონის-რძალი მარიამ ისაკის ასული გრუზინსკისა გარდაიცვალა 7 ოკტომბერს. პანაშვიდი იქნება ყოველ დღე 6 საათზე საღამოზედ ირაკლის სახლში.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

...ოდესა, 6 ოკტომბერს. აღმრულია ...: შეუძლიანთ ქრმიანს ქალებს ...ის გიმნაზიის უმაღლეს პედაგოგ...ის კლასში თუ არა — აქაურ პო...ისაგან იქმნა გადაწყვეტილი, ...მ შეუძლიანთ.

1881 წლის სახელმწიფო შემოსა... აღმოჩნდა 652 მილიონი, გასა...ვალი 712 მილიონი.

...ამ დღეებში იქნება შეერთებული ...ის ბესტუჟევის და მედიცინის ქა...ის კურსის მასწავლებელთა, ამ ...ის მასწავლებლის შეერთების თაო..., იმ პირობით, ...ებს საშუალება მიეცეს შეირიცხ... სახალხო განათლების სამინისტ...ში.

...პეტერბურღი, 7 ოკტომბერს. გაზ... „...ის ვედომოსტი“ იყიდა სობო...ვსკიმ და ამხანაგობამ.

ბერდიანსკის მაზრაში დაიჭირეს ორი თათარი, რომელთაც ფოჩტალიონი მოჰკლეს და ფოშტა გაცარცვეს; წაღებული ფულებიდამ 160,000 მანეთი ნახეს.

მოსკოვის სატუსაღოში იმყოფება ამ ჟამად ორი პარტია მთიულები, რომელნიც ტვერის გუბერნიიდამ თავიანთ სამშობლოში—კავკასიაში მიდიან.

ხარკოვი, 7 ოკტომბერს. ხარკოვის სამასწავლო მაზრის მზრუნველმა გამოაცხადა, რომ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის შენობის ერთი ნაწილი დაეთმობა უნივერსიტეტსაო წლისა და ნახევრის განმავალობაში. ამ შენობაში პოლიტეხნიკური სასწავლებელი იქნება გამართული.

პეტერბურღი, 7 ოკტომბერს. გამომიება გემის „ნოვგოროდის“ აფიცრების თაობაზედ გათავდა; აღმოჩნდა, რომ გემი უნტერ-აფიცერს პახიტანის აუფეთქებია, რომელიც ამ უბედურების დროს, სხვათა შორის, დაიღუპა.

ფინანსთ სამინისტროსაგან შედგენილი ახალი წესდება პენსიის თაობაზე, სახელმწიფო რჩევაში წარდგენილი დასამტკიცებლად. ამ წესდების ძალით, ვისაც ემერიტურა ეძლევა, იმას პენსია უნდა შეუმცირდეს.

უწმინდეს სინოდთან დაწესდა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს — თუ რა მონაწილეობის მიღება შეუძლიან სამღვდელოებას სახალხო განათლების საქმეში.

## სჭირს ჩვენს ერს სწავლა, თუ არა?

გაზეთ „კავკაზის“ მე-245 №-ში დაბეჭდილია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ბ-ნი არლოვის სტატია, რომლითაც თავს იმართლებს და იშორებს თავიდგან იმ ვითომ ცილის-წამებას კორრესპონდენტისას, რომელიც მასზე და მის რაჭის განკარგულებაზე გაზეთს „შრომაში“ სწერდა. მე სრულებითაც არა მსურს, რომ მას პასუხი ვუგო, რადგანაც იმ წერილის ავტორი მე არ გახლავარ; მხოლოდ მსურს, როგორც ჩვენი სახალხო განათლების ერთი მცოდნე და თანამგრძნობთაგანი, ორიოდე სიტყვა მოვახსენო ბ-ნ არლოვს იმის სტატიის ერთი ადგილის შესახებ, სადაც ძლიერ ზრდილობიანად ბრძანებს:

„...Что населеніе Рачинскаго, Лечхумскаго и Пораманскаго уѣздовъ, въ массѣ, дѣйствительно, не сочувствуетъ школѣ и не желаетъ учить своихъ дѣтей, то это совершенно вѣрно; но это печальное явленіе можетъ быть безошибочно объяснено тѣмъ именно, что Имеретины (крестьяне, конечно) трехъ названныхъ уѣздовъ, населяющіе нагорную часть Губерніи болѣе ДИКИ и НЕВѢЖЕСТВЕННЫ и менѣе проникнуты сознаніемъ пользы ученія, чѣмъ Имеретины другихъ уѣздовъ“.... და სხვ.

მართლაც, საფიქრებელია ჭეშმარიტად: რა მიზეზია, რომ ჩვენი ხალხი თავის დაფუძნებულს, ჰომაელის ნორჩი ახალგაზრდობის გამწვრთნელ და განმანათლებელ ტაძარს—სკოლას ასე უსასოვო თვალებით შესცქერის? რად არის იმ სენის ძირი, რომელიც ასე უხვევს მათ თვალებს და ნათელიდგან ისე სიბნელეში მიჰყავს, არ აძლევს ღონისძიებას სწავლა-განათლების გემო გაიცნოს და მისი სარგებლობა და საჭიროება იგრძნოს? რად არის, რომ პირველად დიდის იმედებით ეგებებიან ახალ დაფუძნებულ სკოლას, არდგენენ სოფლის კანცელარიებში განჩინებას, იწერენ მასწავლებელს, უნიშნენ 250—350 მანეთამდე ჯამაგირებს და პირველ დღეებშივე სავსე შეიქნება ხოლმე სკოლა პატარა გლეხებით და შემდეგ რამოდენიმე თვისა ან წლისა ხედავთ ამ სავსე და ბედნიერ სკოლას გალატაკებულს და დაობლებულს, უშაგირდოდ? სად იმალება ამ გვარი ხალხის სკოლისადმი გულ-გრილობის მიზეზი? ისევ ხალხშივე, თუ სხვაგან სადმე? ნუ თუ მართლა ის მიზეზები აბრკო...

---

„დროების“ ფელეტონი, 9 ოკტომბ.

### ჯონ ვუდ

(ამბავი ინგლისელ მუშების ცხოვრებიდან).

...ბნელი ზამთრის საღამოა. ნაცრის...ფერი ღრუბელი შემოხვევია ქალაქის ...შენობებს. მიბჟუტული ფარნები ...ლივს-ლა ანათებენ იმ არე-მარეს. ...ტიო ჰაერის გამო სუნთქვა ძნელ...ება. ჰაერი შეგუბებულია; ქარხნე...ბის კომლი სჭრის თვალებს და აწუ...ებს ფილტვებს.

ქუჩაზედ სიჩუმეა; მხოლოდ ხანდის-ხან თუ დაიგრიალებს ეკიპაჟი, ან ...ასმის დაგვიანებულ გამვლელ-გამვლელის ფეხის ხმა.

ვიწრო ქუჩაზედ შეჩილდის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით მიეშურება ქალი. როგორც ეტყობა იმას რაღაც ეჩქარება, მაგრამ სიბნელე უშლის ჩქარა სიარულს. ქალი მივა ერთს პატარა ეზოში, გააღებს გარედან ალაყაფის კარებს, ჩაირბენს ბნელს, ბინძურ კიბეზედ და გულის-ძგერით შეგარდება ერთ ქვემო სართულის სარდაფში; ნელა გააღებს პატარა და ღარიბ ოთახის კარებს.

ერთად-ერთი სანთელი სუსტად ანათებს ამ ოთახის გაშავებულ კედლებს. უიმისოდაც საცოდავ სანახავს ოთახს ჩისლი, რომელიც შედის ფანჯრებიდან და კარების ჭუჭრუტანებიდან, აძლევს უფრო ძრიელ მოღვრეილ სახეს.

ეტყობა, რომ ხშირი სტუმარი უნდა იყოს ქალი ამ ღარიბ ოთახისა. ...თხეში ლოგინზედ წევს შუა ხნის კაცი; იმისი გამხდარი სხეული დახურულია დაგლეჯილის ძველი საბნით ქალის დიდ მოსახვევით. მისი საავადმყოფობისაგან დასუსტებული, ...ხატავს დაქანცულობასა და გულგრილობას.

...რის პირ-და-პირ იატაკზედ, დაგებულ ლეიბზედ სძინავს ორ ყმაწვილს, როგორც ეტყობათ, ტყუპებს. ...ის წლის იქნებიან ბავშვები. იმათ ...ენთისათვის გადაეხვიათ ხელები ...ტებული იყვნენ; რომ კაცი ...ერდეს იმათ ცოტათი გაღებულ ...მარ პირს, იფიქრებს, რომ იმათ ...ებათ ახლა ტკბილი და საამური ...რები.

კედელთან წაქცეულ და ნოტიან გაშავებულს ხის სკივრზედ არის დაგებული ძველი ძონძებისაგან შეკერილი ლოგინი; მაგრამ რა საცოდავი, პატარა არსებაა, რომ წევს იმზედ? ვინა შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ის ცოცხალი ყმაწვილია, რომ იმ მიხრწნილს, დასუსტებულს სხეულს კიდევ უდგია სული?

...რის გაღებაზედ ყმაწვილმა ვაიღვიძ და სუსტის ხმით შესტირა. შვიდის წლის გოგო, რომელიც იწვა იქვე იატაკზედ, წამოვარდა და ცდილობდა, რომ დაემშვიდებინა ყმაწვილი.

ახლად მოსული ქალი სიფრთხილით და შეუმჩნევლად მიხურავს კარებს, და ფრთხილად მივა იქ მწოლარე ავადმყოფთან. ავადმყოფის დანახვისთანავე ქალის სახის მეტყველება გამოიცვლება; თავის ქმრის მწუხარე სახის დანახვაზედ, ის გრძნობს ისეთს განუსაზღვრელ სიყვარულს და მისდამი ერთგულებას, რომ მზად არის შესწიროს მას თავისი სიცოცხლე, ოღონდ კი გამოიხსნას ის სიკვდილისაგან; მხოლოდ მარტო შიილები, უპატრონო შვილები ეცოდებოდა იმას... ის დაჯდა ავადმყოფის ფეხთით. ავადმყოფს ეძინა და მძიმედ სუნთქავდა; წელან ატირებული ბავშვიც დაჩუმდა...

ქალს მოაგონდა წარსრული, პირველი წლები, თავის გათხოვების დრო, (რვა წელიწადია მას უკან), თავისი და ქმრის იმედები და ოცნებანი. პირველში იმას სამუშაო ბლომად ჰქონდა (ის იყო სუფთა და წმინდა საკერავების მკერავი ქალი). მის ქმარსაც ჰქონდა ადგილი მაუდების მაღაზიაში, ითვლებოდა კარგ მუშად. ქალი სიხარულით მუშაობდა მთელი დღე თავის ქოხში და მოუთმენლად უცდიდა იმ დროს, როდესაც დაბრუნდებოდა მისი ქმარი სახლში.

ასე მიდიოდა იმათი ცხოვრება პირველ წელიწადს. მშობიარობის შემდეგ ამ ქალმა დაიწყო ავადმყოფობა; თვალებიც დაუსუსტდა ნოტიო და ბნელ ოთახში ბევრ მუშაობის გამო. შემოსავალმა იკლო და მჭამლები-კი, საუბედუროდ, მოემატათ. ქმარს დააწვა კისერზედ ამათი შენახვა, იმას უნდა ემუშავნა ორი კაცის-ოდენა. თავათვე ბუნებით სუსტმა, ველარ აიტანა ამდენი მუშაობა და თან-და-თან სუსტდებოდა, ხდებოდა. ამას მოემატა კიდევ პატარა ხველებაც.

ლებს სახალხო განათლების გონიერ გზაზე წასვლას და მის გემოს გაცნობას, რომლებზედაც ბ-ნი დირექტორი აჩვენებს?

სრულებითაც არა.

აი, ბატონებო, ჩემის აზრით, რაში მდგომარეობს ყველა ამაების მიზეზი: ჩვენი სახალხო სკოლები ვერ დგანან მაგარ და კარგ საიმედო ფეხზედ; ისინი არ არიან იმ ნიადაგზე დამყარებულნი და ამუსულნი, რომელზედაც უნდა ყოფილიყვნენ პედაგოგიის ყველა გონიერ მოთხოვნილების ძალით და ამასთანავე არც თავის ნიადაგის ნამდვილ მოთხოვნილებით გახლავან შემოზღუდული. ჩვენი სკოლების საფუძველს სულ სხვა ნიადაგი შეადგენს. მაენი ჰკარგავენ თავიანთ პირ-და-პირ მნიშვნელობას და უცხო ენის შესასწავლელ იარაღად ხდებიან; ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულ მიზანს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სკოლამ აღზარდოს, გაწრთვნას ნორჩი ახალგაზდობა და მოუმზადოს მის ქვეყანას „ნამდვილ ცხოვრების ასპარეზზე მომუშავე კაცი“, როგორც ამბობს პედაგოგიაც, გაუხსნას მას ზნეობითი და გონებითი მხარეები და ასწავლოს გაგებით წერა-კითხვა. აი რას უნდა მისდევდეს სახალხო სკოლა, აი მისი მიზანი, რომელსაც უნდა ასრულებდეს.

მაგრამ რამდენათ აღწევს ჩვენი სკოლა ამ მიზანს ყველამ კარგათ ვიცით. გლეხს, როდესაც თავისი შვილი სკოლაში მიჰყავს, ის აქვს სახეში, რომ შემდეგ მისი შვილი გამოადგეს თავის ოჯახის განკეთებაში და გაჭირებულ ცხოვრების წარმატებაში. ამ სურვილით აღჭურვილს მიჰყავს შვილი სკოლაში, სადაც პირველ წლიდამვე აწყენინებენ ხოლმე მისთვის სრულებით გაუგებარ ენაზე სწავლას, მაშინ როდესაც მისი ღვიძლი დედა-ენა, ის ენა, რომლის ტკბილი „ნანა“ აკვანში სმენია და რომლის ხმები დედის რძესთან შეზრთია, არ გაჯდომია ჯერ ძვალსა და რბილში; ყმაწვილს არ შეუსწავლია ჯერ თავის სამშობლო ენა და სხვა ენას ასწავლიან და ორი კურდღლის ერთად დამჭერი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო, ამისი არ იყოს, ორთავე: აკლდება ვერც თავის სამშობლო ენას ასწრებს და ვერც უცხოს შესწავლას.

ამ ნაირად ბავშვის ტვინი ირევა და ჩლუნგდება და გლეხს მისი შვილი თითქმის ისევე გაუთლელი მიუდის შინ, როგორც გაგზავნა სკოლაში. ამ ნაირ მაგალითებს უჩვენებს ხალხს ჩვენში სკოლა.

ეს პირველი მიზეზი გახლავსთ.

მეორე მიზეზი ჩვენი სკოლების დაცემისა მდგომარეობს იმაში, რომ ეს სკოლები თითქმის მოკლებულნი არიან სპეციალურად მომზადებულს მასწავლებლებს. პირველად დაწყებული საქმე თუ კარგათ არ წავიდა, იუ არ გააცნო ხალხს თავისი გემო და სარგებლობა, მერმე, რაც უნდა კარგათ წავიდეს, მაინც დაშინდება ხალხი და ხელს ძნელად მოჰკიდებს. პირველადვე არ უნდა გაეფუჭებინა თავისი ეტორიტეტი ჩვენ სკოლებს, პირველადვე არ უნდა დაეკარგათ ხალხისთვი იმედები; რა უნდა სთქვას კაცმა იისთანა სკოლაზე, რომელსაც ზიზღით უყურებს ხალხი; რა კარგს უნდა გამოველოდეთ იმისთანა სკოლისგან მასწავლებლითურთ, რომელსაც ისე უყურებს ხალხი, როგორც მის ერთ რაიმე ფრიად მაზარალებელ სახსრის და არა შემმატე რამეს და ან რა უნდა ითქვას იმ ნაირ სკოლის და საზოგადოების შორის ზნეობით მხარეზე, სადაც მასწავლებელი საწყალის გლეხის ოფლით ნაშოვნ ფულებს ჯიბეში იდებს და თავის პირ-და-პირი მოვალეობის მაგიერ თავის საკუთარ საქმეებს აკეთებს. როგორი თვალებით უნდა უყურებდეს გლეხი ამ ნაირ სკოლას ან მასწავლებელს? და ამ ნაირი მაგალითები ძლიერ ბევრია ჩვენში, უმეტესად შორაპნის მაზრაში.

როგორ უნდა უწოდოთ ჩვენ გლეხებს „дики“ და „невѣжественны“, როგორც ბრძანებს ბ-ნი დირექტორი, რომ ისინი არ გრძნობდენ სწავლა-განათლების საჭიროებას, როდესაც პირველად მათ დააარსეს ჩვენში სასოფლო სკოლები, მაგრამ რადგანაც სარგებლობა ვერაფერი აჩვენა სკოლამ, ხალხსაც გული აუცრუვდა მასზე განზე და ცქერა დაუწყო. მასწავლებელია სკოლის თავი; მას შეუსლია სკოლის სარგებლობაც აჩვენოს ხალხს და ენებაც. ზოგიერთ ჩვენმა მასწავლებლებმა უფრო ენება აჩვენეს ხალხს, ვიდრე სარგებლობა და სწავლა-განათლების მსურველიც ნაკლეთ არის და არა მისთვის რომ განათლების საჭიროებას აქ არავინ გრძნობდეს. აბა მიბრძანდით და ნახეთ ის სკოლები შორაპნის მაზრაში, სადაც კარგი მასწავლებლებია, თუმც სპეციალისტები არა მაგრამ საქმის ენერგიით წამყვანი გახლავსთ, როგორ მიჰყავთ სწავლების საქმე. ნახეთ, ჰყავთ მათ ბლომათ უმოწაფეები თუ არა და [illegible] გადაათვალეთ მოსწავლეების სია და ნახავთ: თუმც ორთავე საზოგადოებაშია სკოლა, მაგრამ გლეხს ერთი საზოგადოებიდგან მიჰყავს თავისი შვილი მეორე საზოგადოების სკოლაში, თავისას კი სტოვებს. რისთვის შვრება ამას გლეხი? არ ურჩევნია, რომ მას ახლოს ჰყავდეს თავისი შვილი? [illegible] გრძნობს სწავლა საჭიროებას და ოღონდ ისწავლოს რამე შვილმა თორემ მზათ არის ყველაფერი ხარჯი აძლიოს; ალბათ ძლიერ კარგათ მიჰყავს იმ მასწავლებელს თავისი საქმე, რომ სხვა საზოგადოებიდგანაც კი მიდის მასთან ყმაწვილი სასწავლებლათ, თორემ რატომ თავის სკოლაში არ მიჰყავს: ამისთანა სკოლებიც შემიძლია დაუსახელო მკითხველს, თუ საჭიროება მოითხოვს.

დასასრულ სულით და გულით ვისურვებ, რომ სახალხო განათლება ჩვენში გონიერ გზაზე დამდგარიყოს და ხალხსაც არ ეცქიროს იმ უსასოვო და უიმედო თვალებით, რომლითაც ახლა უცქერის.

თ. ჭ—ლი.

## დღიური

ტფ. სამოსამართლო პალატის წევრებს რო გამოეთხოვა სენატორი ბერი, შემდეგი სიტყვა უთხრა თურმე ამათ: „მე სრულებით კავკასიის სასამართლოების რევიზიისათვის არ ვიყავი აქ გამოგზავნილი. მე გამომგზავნა სამინისტრომ იმ განზრახვით, რომ ჩემის საშუალებით გაიცნოს ის სასამართლოები, რომელიც იმის ხელში უნდა გადავიდეს. ამ გვარი გაცნობა საჭირო იყო ამიტომ, რომ სამინისტრომ უნდა იცოდეს—რა უყოს, რა გააკეთოს, რა ეჭირება იმ მემკვიდრეობას, [illegible] იმის ხელში უნდა გადავიდეს“.

მეორე რევიზორი ბ. პლატონოვი, როგორც ამბობენ, ამ ჟამად ჯერ კიდევ ტფილისში არის და ნოემბრამდინ აქ დარჩებაო.

* * *

ამ ორი-სამი კვირის წინედ ერთ ღამეს ცოლმა დაინახა, რომ მისი ქმარი გაშეშებული ადგა; აანთო სანთელი. ის იდგა ცოლისაკენ ზურგშექცეული კუთხეში, ოდნავ ახველებდა და ნახველს აყოლებდა დიდრონ კოლტ-კოლტს სისხლს; ქმარი ცდილობდა, რომ ეს სამწუხარო სურათი არ დაენახვებია ცოლისათვის, მაგრამ ეს ცდა ტყუილი იყო. ცოლმა დაინახა ყველა და ისე შეწუხდა და შეშინდა საწყალი ქალი, რომ შიშისაგან ხმას ველარ იღებდა. იმის შიშიც გამართლდა: მეორე დილას, როდესაც ქალი დააკვირდა მის ქმართან მოსულ ექიმის დაფიქრებულ სახეს, რომელიც დიდის გულ-მოდგინებით სინჯავდა მას, მაშინვე დარწმუნდა, რომ ტყუილად არ შიშობდა...

ამ დროს გაისმა კარებისაკენ ბრახუნი. რომ არ შეაწუხოს და არ გაეღვიძოს ავადმყოფი, ის ნელ-ნელა გავიდა დერეფანში.

— მე თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს, მისტრის ვუდ, უთხრა ხრინწიანის ხმით, სქელმა, დაბალმა, რგვალმა და დალურჯებულ სახიანმა ქალმა. აი რაში მდგომარეობს საქმე: ექიმმა მითხრა მე დღეს, რომ თქვენი ქმარი ძალიან სუსტად არის და მოსალოდნელია, რომ ამ დღეებში მოკვდეს. რასაკვირველია, თქვენთვის სალიან ძნელი უნდა იყვეს ამისთანა ამბის გაგონება და მეც ძალიან სამწუხაროდა მაქვს, რომ იძულებული ვარ, შეგატყობინოთ ეს ამბავი, მაგრამ თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში. თქვენ თითონ იფიქრეთ: სუყველა ჩემი მდგმურები თითქმის დიდი კაცები არიან და რომ გაიგონ, რომ ჩემ სახლში მკვდარი სვენია, ხომ დაიღუპები და ყველანი გადავლენ. ეხლა ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის: ან ეხლავ უნდა დამიცალოთ სახლი ან იძულებული ვიქმნები ამ საღამოსვე გავგზავნო თქვენი ქმარი მუშების სახლში...

ყმაწვილი ქალი თავ-ჩაღუნული უგდებდა ყურს იმის ლაპარაკს, მაგრამ იმის უკანასკნელ სიტყვებზედ მის გაყვითლებული პირის-სახე აინთო.

— მისტრის ბრაუნ,—უთხრა იმან გადაწყვეტით,—მე არ შემიძლიან ავასრულო თქვენი სურვილი: ჩემი ქმარი იმდენად დასუსტებულია რომ შეიძლება გზაშიაც მოკვდეს. მე გოგმართავთ თქვენ, როგორც ქალს, რომელსაც შეუძლიან გაიგოს ჩემი გრძნობა, განაგრძო იმან უფრო ვედრების კილოთი, გევედრებით: ნება მომეცით, რომ უკანასკნელ წამამდე მაინც ამასთან ვიყვე; თქვენ იცით, რომ სამუშაო სახლში მე არ მომცემენ ნებას, რომ მოუარო ჩემს ქმარს.

— მე არას დროს არც ეხლა და არც ყმაწვილობაში არ ვყოფილვარ მგრძნობიერი,—უპასუხა მისტრის ბრაუნმა, და ძალიანაც მეჯავრებიან მგრძნობიერი ადამიანები. ღარიბი ხალხი უნდა დაემორჩილოს თავის ბედს და შეურიგდეს გარემოებას. შემდეგში იმედი გქონდეს ჩემგან შემწეობაზედ და ეხლა კი მხოლოდ შემიძლიან, რომ მუშების სახლში შესაყვანადვასი გადვიხადო, რადგან თქვენ ფული არა გაქვსთ. ეხლა კი წავალ და ანკარგულებას მოვახდენ წაყვანის სახებ.

ამ სიტყვების შემდეგ ის წავიდა. ყმაწვილი ქალი დაბრუნდა ქმართან. ის იწვა დამშვიდებული, მაგრამ როდესაც იმან კანკალით დაუჩოქა და ტირილით დაუწყო ხელებზე კოცნა, დიდის შეწუხებით ჰკითხა ცოლს:

— ის ჩვენ გვაგდებს?

ცოლმა უანბო იმ დედა-კაცის განზრახვა ტირილით. ავად-მყოფი უპასუხა მხოლოდ ხვნეშით.

მუშების სახლი საშინელია პატიოსან ინგლისელ მუშისათვის. ის თავ-შესაფარია ავაზაკებისათვის, უქმაწანწალებისათვის და განსაკუთრებით სხვა-და-სხვა დაბალი ხალხისათვის, რომლითაც ასე სავსეა ინგლისი.

გაისმა ეკიპაჟის ხმა და რამდენისამე წუთის შემდეგ შემოვიდა იმათი სახლის პატრონი ორი შვილებით. ბევრი წინააღმდეგობის შემდეგ ყმაწვილი ქალის მხრით, იმათ აიყვანეს საწყალი ავად-მყოფი და ძლივს მიათრიეს ეკიპაჟამდე. უმარწვილებმა გაიღვიძეს და დაიწყეს ტირილი. ავადმყოფს, შერყეულს ზნეობით და ფიზიკურადაც, შეუწუხდა გული. საწყალი ცოლი ევედრებოდა, რომ მუშების სახლამდი მაინც გაეყოლებინათ, მაგრამ საწყალს სახლში შესვლის ნებაც არ მისცეს.

ეს დრო გახლდათ ღამის თერთმეტი საათი და ყველა ალაგები მთლად დაჭერილი იყო საწყალი ხალხისაგან, რომლებიც აქ უცდიდნენ სამს და ოთხს საათზე მეტს. ახალ-გაზდა ქალი უნდა დამორჩილებოდა ხვედრს. შუაღამეზედ მეტი იქნებოდა, როდესაც ის დაბრუნდა სახლში. ის მიდიოდა ისე უგრძნობლად, თითქო იმ დღეს იმას არაფერი უბედურება არ დამართნიაო, მაგრამ როდესაც შევიდა თა-

…ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ისეთი
…ძვირეა ამ ჟამად აქ ფულისა, რომ
…რგა შეძლებული და „ნაღდი" ხალ-
…, რომელთაც დროებით ეჭირებათ
…ული, თუმანში სამ-ოთხ მანეთს და
…ნ მეტსაც აძლევენ წელიწადში სარ-
…ბელს და მაინც უჭირთ შოვნა.
…ქაური ურიები ულმერთო სარგე-
…ლთან ისეთს „ნეუსტოიკებს" თხო-
…ლობენო, რომლის შესრულება იმათ-
…ნ ვალის ამღებს დალუპავსო.
…ერთი გამსესხებელი კანტორა არის
… ბ. ბარამოვისა, და, ღვთის წყა-
…ობა გაქვთ, ის ამ გაჭირებით და
…ულის სიძვირით სარგებლობსო:
…ეწნიან ნივთის გირაოში ორ-სამ
…ანეთს აძლევს და ამაშიაც თვეში
…ნეთზე ორ შაურს სარგებელს ახდე-
…ნებსო. და ჩვენი ქალაქის რჩევა,
…ომელიც მოვალეა ამ გვარ „სსუდნი
…ასების" მოქმედებაზე ყურადღება
…ა კანტროლი იქონიოს, სრულიად
…მას არ იღებს, ყურებსაც არ იბერტყ-
…ო…

* * *

…სოფ. ანავიდამ (კახეთშია) დიდ სა-
…ყდურსა და საჩივარს იწერებიან ად-
…ლობრივ მღვდელზედ მ. შ—ზედ.
…ერთობ ეწყობა ბახუსსო, ერთობ
…ურჩებს თავის ხელ-ქვევით მყოფ
…ლესიის მოსამსახურეებს, დიაკვნებს,
…ერთობ ნაკლებად უყვარს წირვა-ლოც-
…ვა და სხვ.

## წერილი რედაქტორთან

…ბატონო რედაქტორო! ხომ გაგიგო-
…ათ, მელა რომ სასცხონებლად წავიდა
…ტყავი იქ დასტოვაო. სწორედ ასე და-
…მართა მეც.
…წარსულის სეკტემბრის 13-ს შორაპნის
…ზრის უფროსის თანაშემწემ გამომიც-
…ხადა, რომ ჩემი საჩივარი ბატონ ქუთა-
…ის ღუბერნიის უფროსთან, სახზრის
…პოლიციის პრისტავის მოქმედებაზედ, არის დატოვებული უყურადღებოდ, რადგანაც შორაპნის მაზრის უფროსს, ბ. ეფიმოვსკის, წარუდგენია თავის ჰაზრი, რომლის შინაარსი არ ვიცი, რა უნდა იყოს.

იქიდამ გამოველი თუ არა, შემხვდა გამომძიებელი სახზრის განყოფილებისა, რომელმაც მიმიწოდა თავის კამერაში და გამომიცხადა, რომ სახზრის პოლიციის პრისტავი მიჩივის რამოდენიმე დანაშაულებაში, რომლისთვისაც უნდა წარვადგინო ბეი, ანუ თავდები, და თუ არა, ვიქმნები დატუსაღებული.

რასაკვირველია, თავდები წარუდგინე და მეორე დღესვე ჩაველი ქუთაისში იმ გარემოების შესატყობლად, რომელიც უხმარია ბ. ღუბერნიის უფროსს, საფუძვლად ჩემის საჩივრის უყურადღებოდ დატოვებისა. მივედი ღუბერნიის სამართველოში, ვიკითხე ჩემი საქმე, მითხრეს ღუბერნიის უფროსის კანცელარიაში არისო. იქ ვიკითხე ამა-და-ამ ნომრით არისო გაგზავნილი ღუბერნიის სამმართველოშიო. აქვე მოვბრუნდი და ერთმა მითხრა: რეგისტრატორთან მიდიო. რეგისტრატორთან მივედი—დელოპროიზვოდიტელთანო; დელოპროიზვოდიტელმა—სოვეტნიკთანო და სოვეტნიკმა-კი—ღუბერნიის უფროსთან გამგზავნა!

ამნაირმა გაგზავნ-გამოგზავნამ მომაგონა ბავშობაში გაგონილი წილადობილას ზღაპარი. ღუბერნიის უფროსს არზით ვსთხოვე, რომ კოპიოები მოეცა მთელი ჩემი საქმისა. პირის-პირ არ მინახავს, მაგრამ თარჯიმანმა გარდმომცა, რომ გუბერნის სამმართველოში მოიკითხე ამის პასუხიო.

ამის შემდეგ მთელი ერთი კვირა დავდიოდი ამ სამმართველოში დღეში ორჯერ და არ გამხადეს იმის ღირსი, რომ შემეტყო. მაძლევდენ თუ არა, რასაც ვსთხოულობდი და ყოველთვის ამ წილადობილას მიმეორებდნენ. უკანასკნელად მივედი სოვეტნიკთან, ბ. ჟერარდისთან. იმან მითხრა: უარი გიყო ბ. ღუბერნიის უფროსმა თქვენ თხოვნაზეო. მე ვსთხოვე მაჩვენეთ მაინც რეზოლიუცია, რა მიზეზით მიყო უარ-მეთქი: მაგრამ იმან გარდაწყვეტით მითხრა: არ შეიძლებაო.

იქიდამ გამოსული, შეველ ბულვარში, დაღონებული დავჯექ და ვფიქრობდი, თუ რა უნდა უყოს მიზეზი, რომ ასე მომექცნენ. ამ დროს მოვიდა ერთი ჩემი ნაცნობთაგანი და მკითხა ჩემი საქმის გარემოება. მე ცოტა გაჯავრებული ვიყავი და ხმა-მაღლა დაწვრილებით უამბე ყოველივე.

ძალიან სასიამოვნო დამრჩებოდა, რომ ეს მაინც შემატყობინა: საზოგადოა ეს კანონი, რომ კაცმა შენი საქმის მდგომარეობა ვერ გაიგო სასამართლოში, თუ ჩემთვის არის მარტო? თუ საზოგადოა, ვაი საწყალი კაცის ბრალი, იმისთანა კაცის, რომელიც შიშით ვერც-კი მიბედავს სასამართლოს კარზედ.

ბ. ეფიმოვსკის გამოძიების დროსაც ვატყობდი, რაც ჰქონდა მიზანში ამოღებული, მაგრამ რა მაფიქრებინებდა, რომ, თუ იმ მოწმების ჩვენებამ, რომლებიც ჩემი თან-დასწრებით იყვნენ ნაკითხი, მიაღწია სამართალთან არ მიიქცევდა ყურადღებას. ბ. ეფიმოვსკი ჭეშმარიტების ასახსნელად კი არ მოსულა ჩემს საჩივარზედ, ის მოვიდა იმ ნაირად, თითქო მისთვის იყო გამოგზავნილი, რომ მე უნდა შევეფასე და პრისტავი ჩხეიძე გაემხნევებინა.

გამოძიების დროს უშვერის სიტყვებით ილანძღებოდა, მაგრამ იმ კაცისაგან, რომელიც იმოდენად ვერ იჭერს თავის თავს, რომ უზრდელად არ მოიქცეს, არც ერთი არ არის გასაკვირველი. თექვსმეტი წელიწადია აქ ვმსახურებო და ძალიან კარგად ვიცნობ, აქაური საზოგადოება რაც არისო. გასაკვირველია, სწორეთ ამისთანმა პატიოსანმა კაცმა, როგორ გასძლო ამოდენა ხანი ამ ნაირ ხალხში, და თუ გასძლო, როგორ ვერ ასწავლა ვერავის იმ სამართ… …ლი, როგორითაც თვით … კერძო პირებთაგან გავიგე, როგორც პირში მეუბნებოდა, კლიაუზნიკობით არისო ეს საქმე შემდგარიო, ვითომც ბ. ღუბერნიის უფროსთანაც ეს აზრი წარუდგინოს მე კლიაუზნიკი ვარ თუ არა, ბ. ეფიმოვსკის წინაშე თავის გამართლებას არ ვპოვებ საჭიროდ; მხოლოდ ამას მივანდობ განსაჯონ იმ პირებმა, რომელნიც მე მიცნობენ, და ის რომ არ უფიქლა კეთილ სინიდისიანად აღმასრულებელი თავის მოვალეობისა, ამის დამამტკიცებელ ფაქტად ეს ჩემი საქმეც კმარა. რად გამიკვირდება, რომ გულ-მხურვალედ თანაუგრძნოს იმან ამისთანა კაცს როგორიც პრისტავი ჩხეიძე ბრძანდება, ამიტომ რომ თუ მეტ ჯელ არა, ერთხელ მაინც იყო იმაზედ საჩივარი რგანის მამასახლისისაგან, რომელსაც დაამტვრია ცხვირ-პირი, მცირე საქმისათვის.

ეხლა მინდა ერთი ჰკითხვა მივსცე ბ.ბ. „დროების" მკითხველებს: რადგანაც ბ. ეფიმოვსკის წყალობით, თითქმის მივიწყებული შეიქნა ეს საქმე და ქუთაისის ღუბერნიაში ვერ მოვიპოვე ჯეროვანი სამართალი, ამის გამო მეც რომ პრისტავ ჩხეიძეს იმითივე უპასუხო და იმასაც ისე ვატარებინო სასამართლოებში დაგლეჯილი წვერ-ულვაში და პირის სახე დალურჯებული, როგორც მე მქონდა, ნუ თუ დამძრახავს ვინმე და ან ჩემი საჩივარის მსგავსად მივიწყებული იქნება იმისიც. მაშინ კი, მგონია, ბ. ეფიმოვსკი არც გამოძიებას მოუცდის და არც სუდს. მაგრამ ვმადლობ ღმერთს, რომ ჩვენი ქვეყნის მართლ-მსაჯულება არ არის დამყარებული ბ. ეფიმოვსკის შეხედულებაზედ. მე კიდევ იმედი მაქვს, რომ ჩემი უმართლოდ შეურაცხყოფა დავამტკიცო იქ, სადაც სამართალი სუფევს და სადაც კერძოობით და მიდგომით არ დაიფარება ამ ნაირი მოქმედება.

ვიკტორ ნიკოლოზის-ძე ჩურკევიჩი.

---

… ღარიბ ოთახში და შეხედა დამ-
…ღებულ და მძინარე ყმაწვილებს,
…მან თვალ წინ ნათლად წარმოუდ-
…ყველაფერი მომავალი უბედურე-
… ამ ფიქრმა, რომ შეიძლება იმის
…რი თავის დღეში აღარ დაბრუნ-
… იმასთან და ყმაწვილებთან, თავ-
…ი დასცა იმას. დაიჩოქა თავის ქმრის
…ცარიელებულ ტახტთან, დაიწყო
…ლო ხმით ტირილი და მხურვალე
…ცვა. ლოცვამ გაამაგრა ის და მის-
… იმედი უბედურებიდგან დახსნი-

…მეორე დღეს მოვიდა ძალიან ადრე
…მების სახლში და რადგანაც ადრე
…, თითქმის ერთი საათი მოუნდა
…აყაფის კარებთან ცდა. თუმცა ცი-
… და წვიმიანი დილა იყო, მაგრამ,
…როგორც ეტყობოდა, არ ეპუე-
…და მას. შესვლისათანავე იმან იკით-
… ჯონ ვუდი. მას უპასუხეს, რომ
…გადიყვანეს მეორე განყოფილება-
… და უკეთესი იქნება, რომ მიმარ-
…ს მუშების სახლის კანტორაში,
…აც ყველას შეატყობინებენ. აი
…უთხრეს იქ:
„— ჯონ ვუდ 36-ტი წლისა, მოკვ-
…ლამე 17 ნოემბერს 1881 წელს
…ერქისაგან, გადატანილია მკვდრე-
… განყოფილებაში".

ჩინოვნიკს, რომელმაც შეატყობინა ეს ამბავი ქალს, გასაკვირველი სახის გამომეტყველება, ჰქონდა, როდესაც გაიგონა იმ ქალისაგან პასუხად:

„— მე არა მჯერა ეს: ის არ მომკვდარა. წამიყვანეთ იმასთან".

ყმაწვილი ქალი გაყვითლდა, მაგრამ სახე მისი იყო დამშვიდებული. ეს სიმშვიდე ეტყობოდა იმას მაშინაც კი, როდესაც შევიდა მკვდრების განყოფილებაში. აქ შეჩერდა კარებთან და მოთმინებით ელოდებოდა, მინამ იმის წინამძღოლმა მონახა ჯონ ვუდის სახელი დახურულ კუბუებში და უჩვენა მას.

— „ახადეთ". —სთქვა იმან.

აქ პირველად აუკანკალდა მას ხმა. როდესაც რამოდენიმე წუთის შემდეგ კუბოს თავი ახადეს და მისტრის ვუდმა დაინახა იმაში მწოლარე მკვდარი, იმის სახემ გაიღიმა სიხარულით:

„— ეს ჯონი არ არის,—დაიკივლა იმან,—მე ვიცოდი, რომ ის არ მომკვდარა, ღმერთმა გაიგონა ჩემი ვედრება"!

მართლაც, ეს ბებრული, პატარა დაღრეჯილი პირის-სახე სრულებით არ გავდა ოც-და-თექვსმეტი წლის მშვენიერ ჯონ ვუდის სახეს. მისტრის ვუდის წინ იდგა თავ-ქარიანი ყმაწვილი კაცი—ჩინოვნიკი, შერცხვენილი ამ შემთხვევით. ის ცდილობდა აეხსნა ქალისათვის, თუ რაში არის საქმე: მისი ქმარი მართალია მოკვდა, მაგრამ მისი სხეული შეცდომით იყო გაგზავნილი საექიმო სკოლაში გასაჭრელად და ანატომიურად გასაშინჯავად ერთის სამოც-და-ათის წლის ბებრის მელისას მაგიერ. რასაკვირველია, ეს მიუტევებელი შეცდომაა მოსამსახურეების მხრით, რადგანაც საექიმო სკოლაში შეიძლება მხოლოდ უპატრონო უსახლ-კარო მკვდრების გაგზავნა, მაგრამ ეხლა რაღა გაეწყობოდა. ქები (მატარებელი) ალაყაფის კარებთან დგას და თუ მისტრის ვუდს ჰსურს, შეუძლიან წავიდეს საექიმო სკოლაში.

აღელვებულის სახით ყურს უგდებდა ყმაწვილი ქალი ამ ლაპარაკს. გაიგო ეს სიტყვები თუ არა? ეტყობოდა მისი ფიქრები ძალიან შორს იყო და თითქო რაღაც შორს მყოფის საგანზე იყვნენ მიმართული. როდესაც იმას გაახსენეს წასვლა, ის დაუყოვნებლად დაეთანხმა და გამოვიდა იმ სახლიდამ.

ანატომიურ ზალაში შეფილდის საექიმო სკოლაში იმ დროს იყო ლექცია. სტუდენტები შემოხვეოდნენ პროფესორს. მარმარილოს სტოლზე იდო გაშიშვლებულის კაცის თავ მოპარსული გვამი. ქეფაზედ და კისერზედ ჰქონდა რამოდენიმე ღრმა ჭრილობა. პროფესორი უხსნიდა სტუდენტებს. უცებ არა ჩვეულებრივმა ხმაურობამ მიიზიდა სუყველას ყურადღება. კარებთან იყო რაღაც ხმაურობა. ვიღასაც არ უშვებდნენ, მაგრამ აი კარებიც გაიღო და გამოჩნდა ქალი. მისი სახე იყო გაფითრებული, ტუჩები უკანკალებდა, შუბლზედ და შეჭმუხვნილს წარბებს შუა ეხატებოდა საშინელი მწუხარება. რამოდენიმე წუთი ისე იდგა, რომ თითქოს რაღასიც მოგონება უნდაო, მაგრამ მერე ელვასებრ მივარდა სტოლთან, რომელზედაც იდო მცხედარი, მაგრამ იმ წამსვე უკუ სდგა... იმას უცქეროდა გასაოცარი დამახინჯებული და გასისხლიანებული პირის სახე...

—

მეორე დღეს ჯონ ვუდის გვამი საწყალი ხალხისათვის დანიშნულს საზოგადო სასაფლაოზედ დაასაფლავეს...

მ. კ—შვილი.

# ტფილისის თავად-აზნაურთა სა-ადგილ-მამულო ბანკის გამგეო-ბისაგან

**ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებულ პირთა ბანკში დაგირავებული უძრავი მამულები, ბანკის წესდების § 14 თანახმად, დანიშნულნი არიან გასასყიდათ, რადგან ამ მამულების პატრონებს თავის დროზედ არ შემოუტანიათ ბანკში წესდებით დადებული გადასახადი ფული (თავნი და სარგებელი). მამული არ გაიყიდება თუ იმის პატრონი ხვედრს ფულს შემოიტანს.

**გოგსაძისა**, ეკატერინე დიმიტრის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილის ზომა 166 კვადრატი საჟენი. ტფილისის 1-ლს განყოფილებაში, 1 უჩასტკაში.

**სოფრონოვი**, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილის ზომა 146 კვად. საჟ. ტფილისის 16 უჩასტკაში 2 განყოფილებაში ნავთლუღში.

**ხანდამოვი**, მირონ ფრიდონის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ადგილის ზომა $54^{65}/_{100}$ კვადრ. საჟ. ტფილისის 2 უჩასტკაში 1 განყოფ.

**არეშოვი**, ნიკოლოზ სიმონის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილის ზომა 26 კვადრ. საჟ. და 6 არშინი. ტფილისის 5 უჩასტკაში, 1 განყოფ.

**ერისთავისა**, ილლიტა დიმიტრის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 კვადრ. საჟ. ქ. გორში.

**ალენიკოვისა**, სალომე იაგორის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ორ სართულიანის ფლიგელით, ადგილის ზომა 88 კვადრ. საჟ. $1^1/_2$ არშ. ტფილისის 1 უჩასტკაში, 1 განყოფილებაში დავიდოვის ქუჩაზედ.

**ბეთანოვი**, სტეფანე ივანეს-ძე. ორი ორ სართულიანი სახლი, ზომა ადგილისა სიგრძე 28 საჟ. სიგანე 13 საჟ. ქ. ახალციხეს.

**ერისთავი**, ალექსანდრე პავლეს-ძე. წისქვილი და შენობა, ადგილის ზომა 5610 კვადრ. საჟ. ქ. გორს.

**გაბუნია**, მერაბ იაგორის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ სართულიანის შენობით და ერთ სართულიანი სახლი, ადგილის ზომა 125 კვად. საჟ. ქ. გორში.

**ჭავჭავაძე**, გიორგი მელქისედეკის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილის ზომა 2100 კვად. საჟ. ქ. თელავში.

**ზაზიევი**, დავით პაპოვის-ძე. ერთ სართულიანი სახლი, დუქანი, ადგილის ზომა $27^2/_{10}$ კვად. საჟ. ტფილისის 1 უჩასტკაში, 1 განყოფილ. დავიდოვის ქუჩაზედ.

**ზავლიევი**, იაკობ სვიმონის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილის ზომა 72 კვად. საჟ. ტფილისის მე-5 უჩასტკ., 1 განყოფ. ნემეცების ქუჩაზედ.

**ჩიკვანოვი** ალექსანდრე სტეფანეს-ძე საბოსტნე ადგილი ვენახი და ბაღი და სარდაფი ადგილის ზომა 5600 კვა. საჟ. მე 9 უჩასტკაში 1 ვანყო. ქ. ტფილისში №-რი 677.

**მადალოვისა**, მარიამ დიმიტრის ასული. ოთხი ორ სართულიანი სახლი, ხუთი ერთ სართულიან ფლიგელი და სარდაფი ზომა ადგილისა 9058 კვად. საჟ. მე 6 უჩას. 1 განყ. ქ. ტბილისში დამოქნის ქუჩაზედ.

**ლიაშენკო**, სვიმონ მოსეს-ძე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე განწყობილებით და მიწა 200 საჟე. მე 7 დე ავლაბრის უჩასკაში, 2 განყოფ. ქ. ტბილისში.

**ტერ-მიქელოვი**, ასლან გაბრიელის-ძე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღით და მიწით დაახლოებით 500 კვად. საჟენამდე 1-ლს უჩასტკაში ქ. ტბილისში ოლგინსკის შოსეზედ, ჯვარის მახლობლად.

**ბარინოვი** მიხეილ ვასილის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ორი ფლიგელი, სარდაბი და ყველა მოწყობილებით, ზომა ადგილისა $199^4/_{10}$ კვად. საჟ. მე 3 უჩასტკაში ტფილისის სალდათის ვიწრო ქუჩა, რომელიც მოდის წყლის საზიდი ქუჩიდგან.

**სულხანოვისა**. მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი ბალახნით, ბ) ორი სამ სართულიან ქვითკირის დუქნები, ორი ორ სართულიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები. ადგილის ზომა 276 კ. ს. ქ. ტფილისში: ა) მე 7 უჩასტკაში 1-ლი განყოფილებისა და ბ) 14 უჩასტკაში მეორე განყოფილებისა ჩუღურეთში.

**მირიმანოვი**, ისაკ ზაქარიას-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ვენახით და ბაღით ზომით 1488 კვად. საჟ. მე 13 უჩასტკაში, მე-2 განყოფილებისა ქ. ტფილისში.

**ბოგუღევიჩ**, ვიკტორ მიხაილის-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ადგილის ზომა 274 კვად. საჟ. მე 10 უჩასტკაში, მე 2 რე განყოფილებისა ქ. ტფილისში.

**მიქელოვისა**, ეკატირინე ტერ-სტეფანოვისა. 1 სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ სართულიანის ქვის ფლიგელით ზომით 306 კვად. საჟ. 14 უჩასტკაში, 2 განყოფილებაში ქ. ტფილისში. (ნოვოტროიცკის პოსელენიაში).

**ბეყანბეგოვისა**, ალექსანდრა თომას ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილებ. 44 კვად. საჟენ. მე 3 უჩასტკაში, 1-ლ განყოფილებაში ქ. ტფილის ვადაჟოზნი ქუჩაზედ.

**კობიევისა**, ეკატერინე იოსების ასული. 1 სართულიანი ქვითკირის სახლი, ფლიგელით, სარაით, თავლით, სარდაფით ბაღით და დანარჩენის მოწყობილობით, აგრეთვე რიგის წყლით. ზომა ადგილისა 490 კვად. საჟ. ტფილისის 2 განყოფილებაში პუკიაში.

**ტერ-აბრამოვი**, (იგივე ტერ-აბრამოვი) სტეფანე ნიკოლოზის-ძე 3 სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით ზომა მიწისა $103^7/_{10}$ კვად. საჟენი. ავლაბრის მე 7-დე უჩასტკაში ქ. ტფილისში პახეთის ქუჩაზედ.

**ჯარნეკ**. ბარბარე იაგორის ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და სარდაფით, ადგილის ზომა 106 კვად. საჟ. მე 9 უჩასტკაში, მე 2-რე განყოფილებაში ქ. ტფილისში.

**ყორღანოვი**. ალექსანდრე სოლომონის-ძე. 1 სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და 2-რი ერთ სართულიანი ფლიგელი, ყოველივე მოწყობილებით ადგილის ზომა 1060 კვად. საჟ. მე 14 უჩასტკ. მე-2 განყ. ქ. ტფილისში ავლაბარში.

**ელიოზოვისა**, ელისაბედ იაკობის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და ორი ფლიგელი სარდაფით 203 კვად. საჟ. 1 უჩასტკაში, 12 განყოფილებაში ქ. ტფილისში, ვაზვიშენის ქუჩაში.

**კოშორიძენი**. გიორგი და დავითი ალექსანდრეს-ძენი. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით და დანარჩენის მოწყობილებით; ზომა ადგილისა დაახლოებით 217 კვად. საჟ მე 3 უჩასტკაში 1-ლ განყოფილებაში ქ. ტფილისში.

**სპანდარიანისა**. ანნა ალაპარუნის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და 3 ფლიგელი ყოველივე მოწყობილებით. მიწა ზომით 325 კვად. საჟ. მე 4 უჩასტკაში, 1-ლს განყოფილებაში მე 2-რე განყოფილებაშე ქ. ტფილისში № 63.

**ლუარსაბიძისა**. ეკატირინა დავითის ასული. სამ სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და ყოველივე მოწყობილებით. მიწა ზომით 50 კვად. საჟ. პუკიის უჩასტკაში მე 2-რე განყოფილებაში ქ. ტფილისში.

**ბაქრაძე**. იოსებ დავითის-ძე. საბოსტნე ადგილები 7 დეს. 1843 კ. საჟ. ტფილისის გუბერ. და უეზდში, ს. სართიჭალას.

**ჯორჯაძე**. ზაქარია ნოშრევანის-ძე. სახნავი და საბალე მიწა 27 დეს. 960 კ. ს. ტფილისის გუბერნია, თელავის უეზდი ს. ბულაშაური.

**გაბ...ნი**. ზაქარია, გრიგოლ და იორემიე დიმიტრის-ძენი. სახნავი, სათიბი და ტყე, ზომით 162 დეს. 398 კ. საჟ. ტფილისის გუბერ. და უეზდ. ს. საგაბაშვილო.

**ემინოვი**. ახმედ-სულთან. სახნავი და საძოვარი ზომით 452 დეს. ტფილისის გუბერ. და უეზდი სახელდობრ დამ-ქაჩი.

**მაყაშვილი**. გრიგოლ რევაზის-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე ზომ. 256 დეს. 240 კ. ს. ტფილისის გუბ. და უეზდი ს. მარიამას-ჯვარი.

**ერისთავი**. პონა (იგივე იაკობი) მირიმანოზის-ძე. სახნავი და საძოვარი ზომით 119 დეს. 946 კ. ს. ტფილისის გუბ. გორის უეზ. ს. უფლის-ციხეში.

**კაპანაძე**. ანდრია ივანეს-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ყოველივე მოწყობილებით, მიწის ზომა 60 კ. ს. ქ. ტფილისში მე 3 უჩასტკაში, 1-ლს განყოფილებაში № 271.

**ხერხეულიძე**. ქაიხოსრო ქაიხოსროს-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთს სართულიანის ფლიგელით და დანარჩენის მოწყობილებით; ადგილის ზომა 384 კ. ს. ქ. ტფილისის მე 11 უჩასტკაში, მე 2-რე განყ.

**ოქროევისა**. ეკატერინე არტემის ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილის ზომით 76 კ. ს. ტფილისის მე 5 უჩასტკაში 1 განყოფილებაში.

**ბერძენოვისა**, დარია გიორგის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ სართულიანი ქვითკირისვე ფლიგელი, ადგილი ზომით 110 კვადრ. საჟ. 1 უჩასტკაში, 1 განყოფ., ტფილისს მოსკოვის ქუჩის ზემოდ.

**ჯორჯაძე**, დავით ვახტანგის-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და ყოველივე განწყობილებით, ადგილი ზომით 1443 კვად. საჟ. ქ. თელავში.

**რთველაძე**, დავით ესტატეს-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ზომა ადგილისა $27^1/_4$ კვად. საჟ. 1 უჩასტკ., 1 განყ. ტფილისში.

**ვასილიევნი**: ანნა ერმონის ასული, სამსონი, სტეფანე, პეტრე, იაგორი და ანნა ექვთიმეს შვილნი და სპირონოვისა მარიამ ექვთიმეს ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და წვრილი შენობებით, ზომა ადგილისა $250^1/_2$ კვად. საჟ. მე-8 უჩასტკაში, მე-2 განყოფ. ქ. ტფილისს.

**ყარაევი**, ანდრია იოსების-ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველივე განწყობილებით, ადგილის ზომა 104 კვად. საჟ. მე-5 უჩასტკაში, 1 განყ. ქ. ტფილისს ფრანგების ქუჩაზე.

**მუსხელოვი**, გიორგი ივანეს-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ერთს სართულიანის ფლიგელით და სარდაფით და ყოველივე მოწყობილებით, ადგილის ზომა $347^{20}/_{100}$ კვად. საჟ. ქ. ტფილისში მე-11 უჩასტკაში, მე-2 განყოფ.

**განგებლოვისა**, აგრაფენა ვასილის ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილებით ადგილის ზომა 90 კვად. საჟ. ჩუღურეთის მე-8 უჩასტკაში, მე-2 განყ. ქ. ტფილისში.

**გოზალოვი**, გრიგოლ იაგორის-ძე. სამ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და მიწა, ზომით 84 კვად. საჟ. მე-6 უჩასტკ., 1 განყოფ. ქ. ტფილისში.

**ქეგამოვი**, არსენ სულთანის-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფი, ფლიგელი, ხილისა და ვაზის ბაღი, ადგილის ზომა 3642 კვად. საჟ. ქ. ერივანში.

**იახოვიჩი**. ნიკოლოზ იულიანის-ძე. ერთ სართულიან ქვითკირის სახლი, სარდაფით და ორი ფლიგელიც სარდაფებით, ადგილის ზომა 195 კ. ს. მე 9 უჩასტკაში მე 2-რე განყოფილებაში, ქ. ტფილისში.

**არწნაუთიანც**. გრიგოლ იოსების-ძე. სამ სართულიანი ქვითკირის სახლი, სირდაფით. ადგილის ზომა 14 კ. ს. და $12^1/_2$ კ. არშინი. მე 3 უჩასტკაში, 1-ლს განყოფილებაში, ქ. ტფილიმში.

(შემდეგი იქნება)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Октября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი